მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 8 1883—1893 30 აპრილს.

მოხუცებული მღვდლების დათხოვნისა გამო.

თუმცა ყველგან არა, მაგრამ ჩვენი საქართველოის ზოგიერთ ადგილას დაიწყეს მოხუცებული მღვდლების უნებურად დათხოვნა, რომ ამით ახალგაზრდა სემინარიელებს ადგილი აღმოუჩინონ. ყველა კანონები სასულიერო წოდების მართვა—გამგეობისა შეკრებილია ერთ წიგნში, რომელსაც ეწოდება წეს დებულება სასულიერო კონსისტორიათა დ უწმ. სინოდის სხვა-და-სხვა დროის კანონდებულებათა კრებულებში. არც ერთ სასულიერო კონსისტორიათა წესდ ბულებაში დ არც ამ კრებულში არა სწერია, მოხუცებული მღვდლები დაითხოვეთ მათ უნებურად და მათი ადგილები სემინარიელებს მიეცითო. ამ კანონებში, სხვათა შორის, სწერია: არც ერთ მღვდელს არა აქვს უფლება სამსახურს თავი დაანებოს, თუ სამსახურის თავის დანებებისათვის კანონიერი და პატივსადები მიზეზი არა აქვს. 60 წლის შემდეგ მღვდელს აქვს ნება, რომ სამსახურს თავი დაანებოს. შეიძლება კანონით დაითხოვონ მღვდელი მის უნებურადაც მისი მძიმე ავათმყოფობისა გამო და კანონის წინააღმდეგ საქმეთა ჩადენისათვის. მაგრამ ჯერეთ, როგორც გვახსოვს, არა გამოცხადებულა რა, რომ მღვდელი დაითხოვეთ, თუ მას პენსია აქვს დამსახურებული, ანუ წირვა-ლოცვაში რაიმე შეცდესო. იყო ერთი შემთხვევა: ერთმა სემინარიელმა გამოითხოვა მოხუცებული მღვდელი ეკზამენში. ეს მოხუცებული მღვდელი გა

მოცხადდა დაბარებისამებრ, მაგრამ ამ მოხუცებულმა მღვდელმა ძლიერ კარგად სწირა და ამისათვის იგი ისევ თავის ადგილზე გაუშვეს და სემინარიელს უარი გამოუცხადეს ამ მოხუცებული მღვდლის სამრევლოის მიცემაზე...

პეტერბურღის მიტროპოლიტი ისიდორე 92 წლის იყო, მაგრამ ახალგაზდა მღვდელმთავრებს არ შეეძლოთ ეთხოვათ მისი ადგილი. რამდენი დეკანოზები არიან სამოცდა ათი და ოთხმოცი წლისა, მაგრამ არავინ არ უბედავს მათ დათხოვნას. რამდენი მოხუცებული არხიმანდრიტები არიან მონასტრების წინამძღვრებად, მაგრამ ფიქრათაც არავინ გაივლებს მათ დათხოვნას და მათ ადგილზე ახალგაზდა ნასწავლი კაცების განწესებას. რამდენი არიან, რომელთაც მოხუცებულობისა გამო ნახევრობით ღალატობს მეხსიერება, მაგრამ ვინ გაბედავს მათ დათხოვნაზედ ქაღალდი შეიტანოს? მაშ ჩვენმა სოფლის მღვდლებმა რაღა დააშავეს ისეთი, რომ ყოველ კაცს შეუძლია მოხუცებული მოძღვარი ეკზამენში გამოიწვიოს და სამსახურიდამ მისი დათხოვნა მოითხოვოს? ამ ბოლო დროს ისეთი კაცები იწვევენ ეკზამენში მოხუცებულ მღვდლებს, რომელნიც არც ერთ სკოლაში არ ყოფილან და არც სადმე სწავლა დაუმთავრებიათ...

ეს არა სანატრელი მოვლენა გამოიწვია ჩვენში სემინარიაში სწავლა დასრულებულთა რიცხვის გამრავლებამ. „რა ქნან საწყალმა სემინარიელებმა, თუ მოხუცებულმა მღვდლებმა ადგილი არ დაუცალესო? ამბობენ ხოლმე ხშირად ზოგიერთები». ჩვენ გვიკვირს, თუ რატომ ამასვე არ ამბობენ, როდესაც უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულებს ხედვენ ასობით უსაქმოთ და უადგილოდ?

ამ შემთხვევის გამო ჩვენ ორიოდე სიტყვა გამოვსთქვით ჩვენს გაზეთში ახალგაზდა სემინარიელების მღვდლად კურთხევის შესახებ და იმის შესახებაც, რომ მოხუცებული და დამსახურებული მღვდლებიც არ უნდა იყვნენ ასე უჯეროდ, გარეშე მათი სურვილისა, დათხოვნილნი, თუ მათ ჯეროვანად შეუძლიათ მსახურება.

ერთმა კარიეთელმა ახალგაზდა მღვდელმა პასუხი გაგვცა ჩვენ და დაგვიმტკიცა, რომ მოხუცებული მღვდლები უთუოდ დათხოვნილ უნდა იქმნენ, თორემ ნასწავლ კაცს ადგილი არასოდეს არ აღმოუჩნდებაო. სხვათა შორის მას თავის თავი მოუყვადა, როგორც წამებული მოხუცებული ამხანაგი მღვდლისაგან. «ერთს მოვშორდი, სწერდა იგი, და უარესი მოხუცებული მღვდელი დამინიშნეს ამხანაგადო. მოხუცებული მღვდლები სწირავენ თვეში ერთხელ, მაგრამ ვი იმ წირვას, რვა ბოთლი ცივი წყალი უნდა ასხან თავზე ტრაპეზის წინ, რომ მოაბრუნონ ხან-დის-ხან გულწასულობისაგან». ჩვენ არასოდეს არ გვითქვამს და არც ვიტყვით, რომ თუ მღვდელი იქნობამდისინ მოხუცებულა, რომ ფეხზე დგომა აღარ შეუძლია, ან მოხუცებულობისა გამო გული მისდის, ამისთანა მღვდლებს ნუ დაითხოვენ-თქო. არა, ჩვენ არა ვართ თანახმა იმისთანა მოხუცებული მღვდლის დათხოვნაზე, რომელმაც იმდენი არ იცის, რამდენიც იცის ახლად სწავლა დამთავრებულმა სემინარიელმა. მოხუცებულმა მღვდლებმა სემინარიელისოდენი რუსული და კლასიკური ენები არ იციან, მაგრამ ზოგიერთ სემინარიელზედ მეტი მტკიცე სარწმუნოება ჰ კეთილზნეობა აქვსთ ჰ ამ ორ ნივთს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სამრევლოში. თუ მოხუცებული მღვდელი ვედარ ლოცვილობს და თანამდებობას ჯეროვანად ვერ ასრულებს, იმას არავისი ჩივილი არ უნდა; მართებლობამ სხვის უჩივლელადაც უნდა დაითხოვოს იგი ჰ ეკზამენში გამოწოდება კი არ არის რიგი. ვსთქვათ, ეკზამენში შეეშალა ორიოდე სიტყვა. განა ამისთვის უნდა დაითხოვონ? რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს მრევლზედ, იცით?... მრევლი იტყვის: ჩვენი მღვდელი არ ვარგებულა, თურმე ტყუვილად გვატყუებდენ და სხვა ამისთანაები... ძლიერ წინააღმდეგია ისიც, როდესაც ღარიბ სამრევლოში არის სემინარიელი და თხოვილობს მეორე მღვდლის დათხოვნას იმ მიზნით, რომ მისი ადგილი ხელში იგდოს...

როდესაც რაიმე უწესოება გაიდგამს ფესვებს საზოგადოებაში, იქ ყოველთვის თავ-აშვებულობა ფარფაშობას იწყებს. ამისთანა დროს საზოგადოებაში გარყვნილი და სულმდაბალი ზნეობაზე ქადაგებას იწყებს, მფლანგავი მომჭირ-

ნეობის ქადაგად შეიქნება, უსწავლელი და უგუნური ბრძნობას დაიწყებს, ერთი სიტყვით მთლად აირევა დავთარი. არ იფიქროთ, რომ ყველა ამას დიდი გავლენა არ ექნეს ზნეობითი მხრით სამწყსოზედ.

როდესაც დავბეჭდეთ ჩვენ ამ კარიეთელის მღვდლის წერილი მოხუცებული მღვდლების დათხოვნის შესახებ, ჩვენ სიტყვას დავპირდით მკითხველებს. დღეს ვასრულებთ ამ დაპირებას. ამასთან ძლიერ გვსურდა შეგვეტყო, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო კარიეთელის მოთხრობა. დიდხანს არ გაუვლია, რომ ჩვენ მივიღეთ იმ მოხუცებული მღვდლისაგან შემდეგი პასუხი:

მამაო რედაქტორო!

წარსული 1892 წლის «მწყემსი»-ს მე-21 №-ში ჩემს თანამოსამსახურე მღვდელს უნებებია ყოვლითურთ ჩემი დამცირება. ამგვარ მის ურიგო მოქმედებაზედ არ ვხედვიდი პასუხი მიმეცა, მაგრამ ყოველი კაცი ვალდებული არის არ დაფაროს სიმართლე და დაანახოს იგი როგორც მთავრობას ისე საზოგადოებას.

მე არ შევეხები ჩემი ამხანაგის ზნეობის აღწერას, რადგან მან თვითონ მშვენიერად გამოხატა თავის ღირსების და პატიოსნების სურათი. დანიშვნისთანავე ჩემთან ამხანაგად მ... კ........, აი რა ჩინებული დარიგება და დაწერილი კანონი დამიდო მან შესახებ ჩვენის საერთო მრევლის მმართვისა:

«მამაო ლ...! ხომ გაგიგონია, რომ რომელ სოფელშიაც შევა კაცი, იმ სოფლის ზნე-ჩვეულებას უნდა მიჰყვეს. შენი წინამოადგილე, კარგად იცი, რომ მკვდრების ანგარიშს აკლდა და ცოცხლებს არ ემატებოდა, გამორიცხული ადრიდგანვე, ამიტომ ეწოდებოდა «ჩურჩუტი“. წარმოიდგინეთ, რომ 40 მანეთის ადგილზე თუმანს ახდევინებდა, თუმნის ადგილზე 3 მანეთს, 3 მანეთის ადგილზე მანეთს და ხან ნაკლებსაც.... აი ჩემი ჩვეულება ეს არის, და იმედია, თქვენც მხარს მომცემთ და თანასწორად ვიმოქმედებთ მრევლისაგან მოსათხოვნელ ანგარიშების დროს, რომ უაზასხების სასაცილო არ გავხდეთ. კარგი შეძლებული თავისი ნებით იხდის საორმოცოდ 40 მანეთს გარდა 1 თუმანი სამოძღვროისა და მანეთს ანდერძის ფულისა. საშუალო ნახევარ საორმოცოდ 20 მანეთს, გარდა სამოძღვრო თუმნისა. მდარე სამოძღვრო და ანდერძისას 11 მანეთს და სხვა შეძლებისაგვარად. ხანდახან გაწირვინებენ, მარა იცოდე, წირვა მანეთ ნაკლებ არავინ შემოგბედოს, მთლად ღარიბი—8 გინა 6 მ. სულ უსაშვალო 3 მ. მაინც. საგვირგვინო: დაწყებული 5 მანეთიდგან 30 მანეთამდის სათქმელი არ არის. მოწმობას ვაჟი თუ აიღებს და იქით მიდის, იმას ნახევარ საგვირგვინო და თუ აქ იწერს სრულად და ასე, იმედია, ერთმანეთის სასაცილოდ არ უჩვენებთ თავს საზოგადოებას და ამაში მხარს მომცემთ. თქვენი ა..... 9 სეკტემბერს 1892 წ.“ *)

ამისთანა ღვთის და კაცის წინააღმდეგ მოთხოვნილებაზე არამც თუ დავეთანხმე, არამედ საზიზღრად მივიღე მისი მოწერილობა. ნუ თუ მღვდელს სიმართლე აქვს მრევლს მეწვრილმალესავით ევაჭროს ლოცვა-კურთხევის აღსრულებისათვის და შეუბრალებლად დაადოს მდიდარსა და ღარიბსა თავისი მოგონილი ფასი. ყოველი მოძღვარი ვალდებულია მრევლი არ შეაწუხოს უკანონო მოთხოვნილებითა, არამედ გაჭირვებაში კიდეც უნდა შეეწიოს ღარიბთაგანს. აი ამ რიგმა ჩემმა შეხედულებამ ააშფოთა ჩემი ამხანაგი და უშვერად იხსენიებს თავის ნაწერში როგორც ჩვენს სასულიერო მთავრობას, ისე მე........ ღვთის წინაშე ჭეშმარიტებით ვაღიარებ, რომ მე არა ვარ არც მოუძლურებული და არც სხვაზე გამოუცდელი სამსახურში, მხოლოდ მით ვარ დამნაშავე, რომ მე არ მოვსთხოვ სამრევლოს უკანონო ჯილდოსა. კანონიერს დიდის კმაყოფილებით მაძლევენ.

ამ წერილს ჩვენის მხრით განმარტება აღარ ეჭირვება... იგი სრულიად ამტკიცებს მისი დამწერის მიმართულებას...

ეჭვს გარეშეა, რომ ძველი სწავლა ეხლანდელ სწავლა-განათლებას ვერ მიუდგება, ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ქადაგებითი სიტყვა, სწავლა-მოძღვრება ეხლა უფრო მეტია, ვინემ წინეთ იყო; საეჭვო არავისთვის არის, რომ დღეს სასულიერო სემინარია ამზადებს სამღვდელოდ მოსწავლეთა და ბევრიც იციან, მაგრამ ვიდრემდის იმისთანა შეხედულება ექნებათ მრევლზედ ამ ახალგაზდა მოძღვრებს, როგორიც ამ ჩვენ მწერალს «კარიეთელს» ჰქონებია, ზნეობას იოტის ოდენად წინ ვერ წასწევენ და მარტო ცოდნა გროშათ არა ღირს. ეს, ვკონებ, ყველამ კარგად იცის.

ძლიერ დაფიქრება მართებსთ ამისთანა დროში იმ სემინარიელ მღვდლებს, რომელთაც ჭეშმარიტის სურვილით უტვირთავთ მოძღვრობა. არასოდეს არ საჭიროებდა ხალხი კეთილ-მოძღვარს ისე, როგორც დღეს და იმედი გვაქვს, რომ ახალგაზდა სემინარიელები საქმით და ცხოვრებით დაუმტკიცებენ თავიანთ სამწყსოთა, რომ იგინი არიან სამრევლოს კეთილი მწყემსნი და ჭეშმარიტი მოძღვარნი...

დეკ. დ. ლამბაშიძე

*) ნამდვილი წერილი რედაქციაში არის წარმოდგენილი.
რედ.

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

სკოლაში წესიერების ანუ დისციპლინის დაცვა უნდა შეადგენდეს ერთს უმთავრეს და უსაჭიროეს სამზრუნველო საგანს მასწავლებელის და მოსწავლეთა მხრით. ყველა სკოლაში, სადაც სიჩუმე არსებობს, სალდათური გაწრთვენის წესებია შემოღებული ან საზოგადოთ, სადაც გარეგანი წესიერება სუფევს, არ არის შესაფერისად დაცული გონიერი მოთხოვნილება სკოლის წესიერებისა, დისციპლინისა. დისციპლინა არის ცხოველი თვითონ სკოლის წესიერება, სისტემა სკოლის და მასწავლებლის ზნეობრივად გავლენისა მოწაფეზედ. შესანიშნავი პედაგოგები სამართლიანად ამტიცებენ, რომ სკოლის წესიერება, დისციპლინა სულია სკოლისაო. რუსების ერთი საპატიო პედაგოგი მიროპოლსკი ამბობს, რომ სკოლის წესიერება, დისციპლინა თვითან მასწავლებელი არისო.

სკოლის წესიერების მიზანი უნდა იყოს ბავშვის ზნეობის და მტკიცე ხასიათის აღზრდა, ამისათვის ყოველთვის ყველაზე უპირველესი და უმჯობესი საშუალება არის თვითონ მასწავლებლის პიროვნება, ამიტომ მასწავლებლისგან მოითხოვება, რომ ის მაგალითს წარმოადგენდეს თავის მოწაფეებისათვის. საზოგადო აზრი კარგ მასწავლებელზე ისეთია, როგორც კარგ კაცზე, მაშასადამე კარგი აღმზრდელი და მასწავლებელი, ამბობს ჟან-ჟაკ-რუსო, უნდა ცდილობდეს ჯერ თავის კარგ კაცობაზე, რომ მოწაფეებს შეეძლოს მასში პოვნა კეთილი, კარგი მაგალითებისა. ნემეცების ერთი პედაგოგი კერი ამ ნაირად ახასიათებს მასწავლებლის პიროვნების გავლენას მოწაფეებზე: ბავშვი იცავს წესიერებას, რიგიანობას ყველაფერში, თუ ამ გვარ თვისებასვე ჰხედავს თავის მასწავლებელში, აღმზრდელში; ბავშვი არის მშვიდი, კეთილის მსურველი, პატიოსანი, სიმართლის და მშვიდობის მოყვარე, თუ მასწავლებელი უყურებს მას ყოველთვის მშვიდათ, სამართლიანათა, გულკეთილათ. ბავშვი არის მხიარული, კმაყოფილი, გულკეთილი და ბედნიერი, თუ მასწავლებელი ამ თვისებით არის აღჭურვილი. პირიქით, ფრიად ჩვეულებრივი და ხშირი მოვლენა არის სამოსწავლო გამოცდილებაში, რომ ჟინიანი მასწავლებელი ჩვენის თავის მოწაფის თავნებობაზე, ჟინიანობაზე; უწესო, უხეირო და ზარმაცი ხშირად ებრძვის სიზარმაცეს; უმეცარი და კადნიერი ჰხედავს თავის მოწაფეეში კადნიერებას, თავხედობას, გაქსუებულობას და სხვ. ამიტომ, როცა მასწავლებელი ჰხედავს თავის მოწაფეში უწესურობას, ნაკლულევანებას, პირველად მან უნდა მიაქციოს თავის საქციელს ყურადღება, ანალიზი უყოს და იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ ყმაწვილის ცუდი ყოფა-ქცევის ნაკლულევანების მიზეზი მასწავლებელი და მისი საქციელი არ იყოს».

მოწაფეების ხელმძღვანელობა შეუძლიან მხოლოდ იმისთანა მასწავლებელს, რომელსაც სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურნია თავის მოწაფეთაგან. ზოგჯერ მოსიყვარულე მასწავლებლის ერთი სიტყვა, შეხედვა საკმაოა, რომ შეაკავოს მოწაფე წესიერების დარღვევისგან. ხშირად ერთი აზრი, რომ პატივცემული მასწავლებელი ჩვენზე უკმაყოფილო იქნებაო, შეაჩერებს მოწაფეებს ნება დაურთველ მოქმედებისაგან. ერთი და იგივე მოთხოვნილება, თუ ის ეკუთვნის კეთილ სახელიანს, ავტორიტეტის მქონე მასწავლებელს ხალისიანად დაუყონებლივ სრულდება მოწაფეთაგან, მაშინ როდესაც იგივე მოთხოვნილება უავტორიტეტო მასწავლებლის ხელში გამოიწვევს მოწაფეთა მხრით ბევრს სკოლის წესიერების დარღვევას. ბავშვები ხშირად არ არიან მორჩილი მასწავლებლისა მისთვის მხოლოდ, რომ არ აქვსთ ხალისი დაემორჩილონ უავტორიტეტო, მძულვარე პირს.

აქედამ სჩანს, რომ საქმის კეთილ-ნაყოფიერებისათვის საჭიროა მასწავლებელმა მოიპოვოს და დიმკვიდროს მოწაფეთა შორის კეთილი სახელი და სიყვარული. კეთილი სახელი ანუ ავტორიტეტობა შეიძინება კეთილ-განწყობილების ჩამოგდებით მოსწავლეთა და მასწავლებელს შორის, სამართლიან და პატიოსან დამოკიდებულებით, მუდმივი დახელოვნებულად ზრუნვით მოწაფეთა გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე, წარმატებაზე. უეჭველია ამ გზით სწავლის საქმეში წარმატებას რაკი დაინახვენ მოწაფეები—სწავლაც შეუყვარდებათ და მასწავლებელიც.

მართალია, რომ ჩვენი ბავშვები უმეტეს დროს ოჯახებში ატარებენ, სადაც, სამწუხაროდ, დედმამის უმეცრებისა გამო ბევრს ზნეობით საწინააღმდეგოსაც, ცუდ მაგალითებს ხედავენ, ისმენენ,—მაგრამ სკოლას იმისათვის აქვს აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რომ აქ მაინც, ამ განათლების ტაძარში,

ბავშვი უნდა ხედავდეს, უნდა ისმენდეს ყოველივე მას, რასაც შეუძლიან კეთილ-ნაყოფიერად იმოქმედოს ბავშვის აზროვნობაზე, კეთილისადმი მისწრაფებაზე, მტკიცე ხასიათის შეთვისებაზე, შემუშავებაზე და სხვა.

სკოლაში წესიერების დამყარება და გაგრძელება იმაზედ არის დამოკიდებული, თუ როგორ მიჰყავს სწავლების საქმე მასწავლებელს. თუ სწავლება მიდის ცოცხლად, ბავშვები არ იღლებიან მოწყენილობისა და ხანგრძლივის ჯდომისა გამო, მაშინ ამგვარი სწავლება იქნება საუკეთესო საშუალება სკოლაში შესაფერი წესიერების გასაგრძელებლად. დისტერვერგის აზრით კარგს სწავლებას ისეთივე კეთილ-ნაყოფიერი გავლენა აქვს ბავშვის ყოფაქცევაზე, როგორც კარგს სკოლის წესიერებას, დისციპლინას: „ვისაც შეუძლიან კარგად სწავლება, ამბობს დისტერვერგი, იმას შეუძლიან კარგად წაიყვანოს სკოლის წესიერება, დისციპლინაც“. უშინსკი ამას არ კმარობს, ის ამტკიცებს, რომ გონიერულად მოწყობილ სკოლაში მოსწავლის დასჯა სიზარმაცისათვის არ შეიძლებაო, მისთვის რომ გაკვეთილები სკოლაშივე ისწავლებაო, არ შეიძლებაო ეშმაკობისთვისაც ყმაწვილის დასჯა, ამბობს უშინსკი, მისთვის რომ სკოლაში სწავლის დროს ბავშვები საქმეში არიან გართული და ეშმაკობისა და ცელქობისათვის არა სცალიანო. ამგვარი შეხედულობის არიან სკოლაზე ეს პედაგოგები და ასეც უნდა იყოს, მაგრამ ამით, რასაკვირველია, არ ირღვევა საჭიროება სხვა ზომებისა კეთილ წესიერების დასამყარებლად ჩვენს სკოლებში, სადაც უმრავლესობა ბავშვებისა იკრიბება უმეცარ ოჯახებიდგან, ხშირად ცუდ ზნე-ჩვეულებით აღჭურვილნი, ამისათვის მასწავლებლის და მოწაფეთა მხრით, რომელნიც სკოლაში დადიან, საკალდებულოდ მიგვაჩნია წესების დაცვა: ყველა მოსწავლეს და მათ სასწავლო ნივთებს, მასწავლებლის ჩვენებით, უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ადგილი, თავის ახლო მასწავლებელმა უნდა დასვას დიდი და უფრო საიმედო მოწაფე კი არა,—პატარაები, სუსტები და უფრო ცელქები, რომლებიც ითხოვენ მასწავლებლისაგან უფრო ფხიზელ ყურადღებას, უფრო ხშირ შემწეობას, მასწავლებლისაგან შველას და დახმარებას გაკვეთილების დასწავლის დროს. კარგია აგრეთვე, რომ კარგი მოწაფეები ისხდნენ სუსტებთან, რომელთაც უფრო მალე და ადვილად შეუძლიანთ დაისწავლონ რიგიანად კალმის დაჭერა ხელში, რვეულების დადებაც და წერაც. მე ჩემი გამოცდილებით ბევრჯელ დავრწმუნებულვარ ამაში, ყოველთვის, როცა კარგ მწერალთან დავსვამდი ცუდათ გლახათ მწერალს—ეს უკანასკნელი უფრო მალე იცვლიდა ხელს და სწერდა ისე, როგორც მისი მეზობელი კარგად მწერალი ამხანაგი. საზოგადოთ ბავშვები ადვილად ჰბაძავენ წლოვანობით და ძალით ერთნაირს თავის მახლობელს, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში იმათ დიდი იმედი აქვსთ და დიდათ ცდილობენ არ ჩამორჩენ თავის ამხანაგებს. ერთხელ დაჭერილი ადგილი, მასწავლებლის ნებადაურთველად, მოსწავლემ არ უნდა დასტოვოს. ცარცი, ჩვარი, ღრუბელი, ავეჯეულობა და სხვა სასკოლო კუთვნილება, ხმარების შემდეგ, უნდა შეინახონ მისთვის მიჩენილ ადგილზე. ამაში პასუხის მგებელი უნდა იყოს მორიგე მოსწავლე. თავის საკუთარს ნივთს თვითანვე უნდა ადევნონ თვალყური. თუ სკოლაში ბევრი მოწაფე არის, სკოლიდამ გამოსელის დროს, რომ ასცილდნენ, ხმაურობას და უწესოებას სკოლაში, საჭიროა დაწყობილი გავიდნენ გარედ. როგორც მასწავლებელი, ისე მოწაფეებიც დანიშნულ დროს უნდა გამოცხადდენ სკოლაში და დანიშნულ დროსვე წავიდნენ სკოლიდგან. ყველა გაკვეთილი თავის დროზე უნდა იწყებოდეს და თავის დროზე—თავდებოდეს. ამნაირად დროს განსაზღვრა და სასტიკად შესრულება ჰშვენის, როგორც სწავლის წარმატების საქმეს, აგრეთვე უმტკიცებს ბავშვებს კარგს ჩვეულებას—თავგამოდებულ სწორე და რიგიან მუშაობას. თუ სწავლა იწყება არ განსაზღვრულ დროს, მასწავლებელი და მოწაფეებიც იგვიანებენ, იქ არ იქნება თანამდებობის ანუ მოვალეობის პატიოსნად აღსრულება და არ წარმატება სწავლის საქმეში. სკოლა დაეცემა. მთელი კლასის თვალყურის საგდებლად სწავლების დროს მასწავლებელი უნდა იდგეს კლასში ისეთს ადგილს, რომ მას ადვილად შეეძლოს მთელი კლასის ყოველი მხრით ადვილად დანახვა. გაკვეთილების დროს მასწავლებლის სიარული საკლასო ოთახში, რადგანაც მოწაფეთ გულის ყურს უფანტავს, თუმც შემთხვევა და საჭიროება არ მოითხოვს, საჭირო არ არის. იქ სადაც მოწაფეები თავისუფლად, ფართოდ, ხალვათად სხედან, ადვილად შეიძლება სკოლის წესიერების დაცვა, მაგრამ თუ ბევრი მოწაფე ზის ერთად და ვიწროობა არის—მასწავლებელს უფრო დიდი ყურადღება, ენერგია და

მეცადინეობა მართებს სკოლის წესიერების დაცვაში.

ამ უკანასკნელ დროში, როგორც პედაგოგებმა, აგრეთვე ექიმებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საკლასო სტოლების და სკამების რიგიანად, ჰიგიენური მოთხოვნილების. შესაფერისად მომართვას, მოწყობას. ცნობილია, რომ ადამიანი, როცა ზის, მხოლოდ ნახევრად ისვენებს; ჯდომის დროს ტანს იჭერს, იმაგრებს ხერხემლის ძვალი და ზურგის კუთები, თავს—კისრის კუთები, რომელიც ზოგიერთ ძალდატანების შემდეგ თხოულობს დასვენებას. რადგანაც ცუდათ მოწყობილი სკამები, სტოლები არაფერ შემწეობას არ აძლევს კუთებს, ამიტომ კუთები მალე იღლება, სუსტდება, რის გამო ბავშვი ზურგში იხრება და თავიც წინ მკერდზედ ჩამოეკიდება. ხერხემლის ძვლის გამრუდების გარდა სკამზედ საზურგის და ფეხის დასადგმელის უქონლობისა გამო ბავშვს ხშირად ემართება სისხლის ავარდნა თავში, ამას მოყვება ცხვირიდგან სისხლის დენა და სხვა ბევრი ცუდი შედეგი. პირველ გაკვეთილის დასაწყისში მოწაფეები სხედან, როგორც რიგია,—პირდაპირ, არ ეყრდნობიან რასმე, არ ირხევიან აქეთ იქით, მაგრამ რაკი ნახევარი საათი გაივლის, თუ სტოლი და სკამი, როგორც უნდა ისე არაა მოწყობილი, კუთები სუსტდება და ბავშვი სცდილობს როგორც მოუხდება მას, ისე დაჯდეს, დაისვენოს, იდაყვს სტოლზე დასდებენ, თავის მეზობელ ამხანაგს მიაწვებიან, მიებჯინებიან, ფეხებს აბარტყუნებენ. კლასში დაიწყება ხმაურობა, ასტყდება ხანდისხან ხრიალი, ალიაქოთიც, იშლება სკოლის წესიერება, დისციპლინა, მასწავლებელი იძულებულია, რომ ამის გამო რამდენჯერმე სხვა-და-სხვა ზომები მიიღოს წესიერების ჩამოსაგდებად და თავის პირდაპირ გზას ასცილდეს.

ამ ნაკლულევანებათა ასაცილებლად საჭიროა მასწავლებელმა საკლასო სტოლებისა და სკამების გაკეთებინების დროს სახეში იქონიოს შემდეგი პირობანი: სტოლს ისეთი სიმაღლე უნდა ჰქონდეს, ბავშვს ძირს ჩაშვერილი ხელის იდაყვამდის უსწორდებოდეს. სკამის სიმაღლე იატაკიდამ ბავშვის წვივის სიმაღლეს უნდა უდრიდეს, ასე რომ დაჯდომის დროს ბავშვის ფეხი სწორი კუთხით უნდა მოიხაროს მუხლში, ტერფი მთლად უნდა იდგეს იატაკზე, ან ფეხის დასადგმელ ფიცარზე, რომელიც სკამებს უეჭველად უნდა ჰქონდეს სიგანით ხუთი დიუიმზე არა ნაკლები, რომ ფეხი თავისუფლად მოთავსდეს ზედ. სკამს უნდა ჰქონდეს აგრეთვე ცოტა უკანით დახრილი საზურგე, თითო სტოლს ორი ბავშვისათვის სამყოფი ადგილი უნდა ჰქონდეს.

ყველა შემოღებულ საკლასო წესების დაცვას და ასრულებას უდიერად უნდა თხოულობდეს მასწავლებელი მოწაფეთაგან, მაგრამ რომელიმე წესიერების დარღვევის შემდეგ მოწაფისაგან მასწავლებელმა არაოდეს სასტიკი ზომები როგორიცაა—ცემა, ხელით შეხება, სახაზავების მტვრევა თავზე, დაჩოქება და სხვა, არ უნდა იხმაროს. ეს ზომები დიდი ხანია, რაც ახალი სკოლებიდამ, ამ „ჰუმანიურ სახელოსნოდამ» განიდევნა და ძველი სკოლების ისტორიულ არხივს ჩაბარდა. სამწუხაროდ ზოგი ჩვენში მაღალ განათლებულებშიდაც, რომელთაც პედაგოგიური განათლება ჩრდილოეთში დომოსტროის პედაგოგიური თხზულებებიდამ შეუძენიათ, მოიპოვება ისეთები, რომელთაც თანამედროვე პედაგოგიის მოთხოვნილებისა არა ესმისთ რა. სამასი წლის წინად ამბობდა, ქადაგებდა ამოს კომენსკი, რომ სასტიკ დასჯას სკოლაში და არც შინ ადგილი არ უნდა ჰქონდესო. ადამიანის ბუნებაში თვითონ მოიპოვება თესლი ცოდნისა, სიკეთისა, ადამიანი თავის ბუნებით ეწაფება სწავლას, ცოდნის შეძენას, მაშასადამე საჭიროა ცოტათი შეგულიანება, გონიერი ხელმძღვანელობა, რომ ყმაწვილი გასწორდეს, არ საჭიროებდეს სასტიკ ზომებს. მაგრამ ეს შეიძლება მაშინ, თუ სწავლების საქმე რიგიანად, გონიერად მიდის. ცუდათ სწავლების დროს დასჯა აუცილებელია, ამიტომ მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ ბავშვების გულისყური, ერთს საგნისადმი მიქცეული, ხშირად არ იფანტებოდეს აქეთ იქით. ეს შეიძლება მაშინ, როდესაც ყველა მოწაფე სამუშაოში მონაწილეობას იღებს და მასწავლებელიც აძლევს მოწაფეებს გასაგებს, მისახდომ კითხვებს, რომელზედაც დაწვრილებით შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ.

ლ. ბოცვაძე

პედაგოგიკის ისტორიიდგან

(გაგრძელება *)

პლატონი, (429—343 ქრისტეს წინ) მოწაფე სოკრატისა, ითვლება ფრიად შესანიშნავ ფილოსოფოსად ძველს დროში. ოცი წლის პლატონი მოვიდა ათინაში სოკრატთან და სცხოვრობდა მასთან 8 წელიწადი. სოკრატის სიკვდილის შემდეგ იმან დაიარა მთელი საბერძნეთი, იყო სიცილიაში და ეგვიპტეში და ამ მოგზაურობის დროს გამდიდრდა სწავლა-ცოდნითა. ის იყო ძლიერ ღრმად განათლებული პირი, ასე რომ იმაში გამოიხატა მთელი სულიერი ცხოვრება საბერძნეთისა. ათინაში დაბრუნების შემდეგ იმან დაარსა სკოლა, რომელშიაც ასწავლიდა ახალ-თაობას სიკვდილამდის. მისი მოსაზრებანი ბავშვთა აღზრდის შესახებ მოთავსებული არიან მის თხზულებებში: «три книги о Республикѣ» და «5 книгъ о законахъ»-ში. პლატონმა განაერცო თავის მასწავლებლის მოსაზრებანი ბავშვთა აღზრდა-სწავლების შესახებ და შეადგინა მთელი პედაგოგიური სისტემა, რომელსაც დაასვა ბეჭედი თავის გონებისა.

ბავშვთა აღზრდა უნდა შეადგენდეს სახელმწიფოს ერთს საღმრთო მოვალეობათაგანს, ვინაიდგან ახალთაობის ასეთს თუ ისეთს განათლებაზედ არის დამყარებული თვით სახელმწიფოს ასეთი თუ ისეთი მომავალი ბედი. აღზრდამ—ამბობს პლატონი—უნდა თანდათან შეაჩვიოს, შეათვისებინოს ახალთაობას ხასიათი იმ ცხოვრებისა, რომელიც მოწონებულია და განსაზღვრული კანონის მიერ და საუკეთესო კაცებისგანაც გამოცდილი და აწონილ-დაწონილია. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს შეჩვევას, რომელიც ჩაუნერგს ნორჩს ბავშვს გულში სიყვარულს ასეთი ცხოვრებისას.

აღზრდა ბავშვებისა უნდა დაწყებულ იქმნეს მათს დაბადებამდის. ცოლ-ქმარის ქორწინებრივი შეკავშირება უნდა იყოს დამყარებული წრფელს და წმიდა სიყვარულზედ, რომელსაც შეუძლია მათ შორის დაამკვიდროს მშვიდობა და მყუდროება. ცოლ-ქმარი «შეერთების» დროს უნდა ფხიზელი იყვნენ ე. ი. არ უნდა იყვნენ მთვრალნი; წინააღმდეგ შემთხვევაში მათს შვილს რაიმე ნაკლულევანება გამოყვება ან სხეულისა და ან სულისა. ფეხ-მძიმე ქალი უნდა რამდენიმე საათობით ყოველს დღეს სასეირნოდ იარებოდეს წმინდა ჰაერზედ; ის ორსულობის დროს უნდა სტკბებოდეს მშვიდი და წყნარის ცხოვრებითა და არ უნდა ეძლევოდეს გულის წყრომას, მრისხანებას; წინააღმდეგს შემთხვევაში გულფიცხელობა ნერვების შემწეობით საშოში მყოფს შვილს გარდაეცემა და ესრედ შვილი მისი გამოვა ავგული. დაბადების დღიდგან სამს წლამდის ბავშვის ფიზიკურს აღზრდას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მშობლები და აღმზრდელები—უნდა სცდილობდნენ—პლატონის აზრით—განავითარონ ყოველივე ნაწილი ბავშვის სხეულისა თავისუფლად. სამს წლამდის ბავშვს ხშირად ხელით უნდა ატარებდნენ წმინდა ჰაერზედ. მაგრამ მშობლები და აღმზრდელები უნდა სცდილობდნენ ბავშვი ნამეტნავად არ გაასათუთონ. გასათუთებას შეუძლია ბავშვი ანჩხლი და ავ-გულა გამოიყვანოს. ბავშვს ამასთანავე ნამეტან სასტიკად არ უნდა ეპყრობოდნენ. სასტიკად მოპყრობას შეუძლია ბავშვი მშიშარა და მხდალი გამოიყვანოს. ამ შემთხვევაში ფრიად საჭიროა ზომიერება, რომელსაც ჩაგვაგონებს კეთილ-გონიერება და ბრძნული გამოცდილება. ბავშვის ნორჩი ბუნება მეტის მეტად ჩქარა ეძლევა შთაბეჭდილებას, უყვარს მას მიბაძვა დიდებისა,—ამიტომ—პლატონი ურჩევს მშობლებს ფრთხილად იყვნენ ბავშვის წინაშე, რომელსაც შეუძლია ადვილად შეითვისოს მათი სიტყვა-პასუხი, საქციელი და მოქმედება. მოვალე არიან მშობლები ბავშვის წინაშე სცხოვრობდნენ თანახმად ნამდვილის ზნეობის მოთხოვნილებისა, და ასეთს ცხოვრებას ექმნება ბავშვის ნორჩს ბუნებაზედ უფრო დიდი საკეთილო გავლენა, ვინემ მშრალს დარიგებას. მშობლებმა უნდა განაშორონ ბავშვი ყოველივე მას, რასაც შეუძლია გახრწნას მისი ბუნება. გაუფუჭოს მას ხასიათი. ბავშვს არასოდეს არ უნდა უამბონ ისეთი ამბები, რომლებიც გამოიწვევენ მის თავში საშიშ წარმოდგენათა, არ უნდა დაუხატონ ისეთი სურათები, რომელნიც საზარელნი არიან და მოჰკელენ მის გულში სიმხიარულეს სულისას, ძალას ნებისას და მისწრაფებას გონებისას. სიმხიარულეს სულისას, მყუდროებას გულისას შეუძლია აღაფრ-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 5—6, 1893 წ.

თოვანოს ბავშვის მისწრაფებანი, განაცისკროვნოს მისი ხასიათი და ესრედ საფუძვლად ექმნეს მისს ჯეროვანს წარმატებასა, მისს ყოველ-მხრივ განვითარებასა.

სამიდგან ექვს წლამდის ბავშვები ორისაევ სქესისა უნდა გართობილ იქმნენ სხვა-და-სხვა სათამაშოებში. ამისთვის საჭიროა იქმნეს დანიშნული განსაკუთრებული ადგილი, სადაც უნდა გროვდებოდნენ ბავშვები სათამაშოდ. ბუნება ბავშვისა ისეა მოწყობილი, რომ თვით თხოულობს სათამაშოებს,—ბავშვს უყვარს სათამაშო ნივთების ხმარება, ის თვითონ თხზავს სხვა-და-სხვა სათამაშო ნივთებს და მით ერთობა. სათამაშოები ძლიერ სასარგებლონი არიან ბავშვისთვის. ისინი ბავშვს აძლევენ მიმართულებას და ესრედ ამზადებენ მომავლისთვის. ყველა ბავშვს არ უყვარს ერთნაირი სათამაშოები. თითოეული ბავშვი ირჩევს სათამაშოს თვისი ხასიათის, თვისი აგებულების შესაფერს. მომავალი არქიტექტორი ბავშკობის დროს აშენებს სახლებს, ანგრევს მათ და ისევ აშენებს,—მომავალი დურგალი სთლის ჩხირს, ნაფოტებიდგან ქოხს აშენებს და სხვა... ამიტომ საჭიროა დიდი ყურადღება იქმნეს მიქცეული სათამაშოებზედ. გამოცდილს აღმზრდელს შეუძლია მათის შემწეობით გაიგოს, თუ რას ეტანება ბავშვი, რაში უფრო იჩენს ნიჭსა და ამის თანახმად აღზარდოს იგი. ბავშვები თამაშობის დროს უნდა იყვნენ კეთილ-გონიერი და ზნეობით საიმედო გადიების ხელმძღვანელობის ქვეშე. გადიებმა უნდა უამბონ დროგამოშვებით ბავშვებს მოთხრობანი და გარდმოცემანი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსისა, რომ იმის მეოხებით ისინი პატარობითვე შეეჩვიონ კეთილ-ზნეობას, რომელიც შეადგენს ძვირფასს გვირგვინს კაცის ცხოვრებისას. აღმზრდელმა (გადიამ) ამ ხანებში, 3—6 წლამდის, უნდა შეაყვაროს ბავშვს თავი. უკეთუ ბავშვს უყვარს თავის აღმზრდელი—ამბობს პლატონი—უკეთუ ენდობა მას, ის სიხარულით მიიღებს მისგან ყოველს გვარს დარიგებას, სიამოვნებით დაუგდებს ყურს მის საუბარსა. ცემით დასჯას პლატონი ცუდის თვალით უყურებს, თუმცა ურჩევს აღმზრდელს უკიდურესს შემთხვევაში, უკეთუ ნამეტანს სიკერპეს გამოიჩენს ბავშვი, ცემით დასაჯოს იგი. მაგრამ კეთილ-გონიერი აღმზრდელი ბავშვს ცემით დაუსჯელადაც მოარჯულებს და ამიტომ ჩვენის აზრით ცემით დასჯა, რომელსაც პლატონი ურჩევს აღმზრდელსა ბავშვის მოსარჯულებლად, სრულიად განგებულ უნდა იქმნეს ხმარებისაგან. წკეპლით ცემა, სხეულის დასჯა, ტკივილის აღძვრა—ნაყოფია გონების სიბნელისა, კაცობრიობის უვიცობისა და მოასწავებს, უკეთუ ჩვენს დროში იხმარება სწავლების დროს, აღმზრდელის ბარბაროსობას და მის უვარგისობას სწავლა-აღზრდის საქმეში. ცემით დასჯას შეუძლია დაამციროს ბავშვის გულში გრძნობა თავმოყვარეობისა და სირცხვილიანობისა, და ამ გრძნობის დამკირების შედეგი კი—ზნეობითი დაცემაა. პლატონი ტყუილად არ ურჩევს მშობლებს დაუტოვონ სიკვდილის შემდგომ ბავშვს სამკვიდროდ არა აუარებელი ოქრო-ვერცხლი, ეს ჩქარა წარმავალი ფუჭი საუნჯე, არამედ ზნეობითი საუნჯე: გრძნობა სირცხვილ-ნამუსიანობისა და სიძულვილი ბიწიერი ცხოვრებისა.

ექვსი წლიდგან ქალები და ვაჟები უნდა გაიშორონ ერთმანერთსა და აღზარდონ ისინი თანახმად მათის სქესებრივი მოთხოვნილებისა. ვაჟები უნდა მიაბარონ პედაგოგს—აღმზრდელს, რომელიც უნდა იყოს კეთილ-ზნეობიანი და მუდამ სცდილობდეს ააშოროს თავისი მოწაფე ოჯეულიე სიცუდესა. 6—10 წლამდის ბავშვს უნდა ასწავლონ გიმნასტიკა და მუზიკა. ამ ორი საგნის სწავლება თანასწორად და თანაბრად უნდა მიდიოდეს. თუ უმეტესი ყურადღება ექმნა მიქცეული მუზიკის სწავლებას და ნაკლები—გიმნასტიკას, ბავშვის სული დარბილდება, დასუსტდება და გაქალაჩუნდება. უკეთუ უმეტესს ყურადღებას გიმნასტიკის სწავლებას მიაქცევენ და მუზიკისას ნაკლებს—ბავშვი გამოვა ფიზიკურად ჯან-მრთელი, მაგრამ ხასიათით კი მქისე და გაუზრდელი. არ უნდა დავიიწყოთ აროდეს—ამბობს პლატონი—ის ჭეშმარიტება, რომ ჯანმრთელი სხეული კი არ შეიქმს სისრულეს სულისას, არამედ სიმშვენიერე სულისა წარმოშობს სხეულის სიმშვენიერეს, რადგან სული მაღლა სდგას სხეულზედ და იმაზედ წინ არსებობს. აქ პლატონს სახეში აქვს პირველ არსებობა სულთა (предсуществованіе душъ).

ილ. ფერაძე

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა თბილისში 22 ნოემბერს 1816 წელსა. მისი მამა თავადი მელიტონ ბარათაშვილი პატარაობიდამ თბილისში სცხოვრებდა, იმ დროის შესაფერად ნასწავლი კაცი იყო და ქართული ლიტერატურაც საკმაოდ ჰქონდა შესწავლილი. მელიტონი სიტყვა მოსწრებული და ნიჭიერი კაცი იყო. მის ოჯახში ხშირად დაიარებოდნენ იმ დროის შესანიშნავი პირნი. მელიტონ ბარათაშვილი იმდენად პატივცემული იყო საზოგადოებისაგან, რომ რამდენჯერმე იგი არჩეულ იქმნა მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

დედა ნ. ბარათაშვილისა იყო უფროსი და თ. გრიგოლ დ. ორბელიანისა ქალი განათლებული და ნიჭიერი, რომლის დები, ვეზიროვისა და ზუმბათაშვილისა დღესაც ცოცხალნი არიან. ნიკოლოზ ბარათაშვილს ტატოს უწოდებდენ პატარაობისას. პატარაობიდგანვე იგი ძლიერ ცნობის მოყვარე და ნიჭიერი იყო. 1827 წელში ის შეიყვანეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელი სასწავლებელიც 1830 წელში გიმნაზიად გადაკეთდა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსებს სწერდა მოწაფეობის დროსაც. ბევრი რამ შეემთხვა სწავლის დროს, ბევრი მწუხარება გამოსცადა ახალგაზდა მგოსანმა, რომელიც მრავალს სხვასაც ხშირად ხვდება ხოლმე წილად სასწავლებელში, მაგრამ ნიკოლოზმა მაინც გაათავა სწავლა. ყმაწვილი შვენივრად ატარებდა დროს თავის მშობლების ოჯახში, რადგან ხშირი წვეულება იყო გამართული იმ დროის დიდებულ ქართველებ შორის. ამ წვეულებასთან გაჩაღებული იყო ბანქოს, ნარდის და ლოტოს თამაში, თარ-ქიანური, დიმპლიპიტო, ლეკური და სხვა-და-სხვა დროს გატარება. მალე მოყირჭდა ნიჭიერ მწერალს ყველა ეს ქეიფი და დროს ტარება. 1835 წელში ნ. ბარათაშვილი შევიდა სამსახურში და დაინიშნა სისხლისა და სამოქალაქოის სასამართლო პალატაში სტოლის უფროსად.

1844 წელში ნ. ბარათაშვილი დაინიშნა ნახიჩევანის მაზრის უფროსის თანაშემწეთ. მაზრის მართველად ამ დროს იყო თ. ლ. მელიქიშვილი. 1845 წელში ნიკოლოზ ბარათაშვილი ამავე თანამდებობაზე გარდაყვანილ იქმნა ელისავეტოპოლში. მას არ უნდოდა გადასვლა ელისავეტოპოლში, მაგრამ სილარიბე ძალას ატანდა. მამა მისი, რომელიც მტკიცედ ასრულებდა სხვა ჩვენ ქართველ თავადებთან ერთად დადებულ პირობას: ვითამაშოთ, დრო გავატაროთ, ვჭამოთ, ვსვათ, და ჩვენ შემდეგ ქვაქვაზედაც ნუ დარჩენილა». რასაკვირველია, სილარიბეში ჩავარდა, მამულები გაუყიდეს და შვილს არა თუ თვითონ აძლევდა შემწეობას, პირიქით მისგან მოელოდა თავის მამულების გაყიდვისაგან გამოხსნას.

1845 წელს, ზაფხულში ნიკოლოზ ბარათაშვილი გახდა ავად ცუდი ციებით და ოქტომბრის თვეში გარდაიცვალა. მისი გვამი იქვე დამარხეს და მისი საფლავიც მალე დაივიწყეს...

1891 წელში აღიძრა კითხვა იმ სასაფლაოს გაუქმების შესახებ, სადაც დამარხული იყო ეს ჩვენი ნიჭიერი მწერალი. აღიძრა კითხვა მის ნეშტთა თბილისში გადმოტანაზედ და მართლაც მშვენიერად დაგვირგვინდა ეს საქმე. გაზეთ «ივერია»-ში შემდეგ ამბავს ვკითხულობთ ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტთა თბილისში მოსვენების შესახებ:

გუშინ დილას, 25 აპრილს, დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ტფილისის რკინის გზის ვაგზალზე, სადაც მოელოდნენ ნ. ბარათაშვილის ნეშტს განჯიდამ. ვაგზლის არე-მარესა და თვით მისასვლელ მოედანზე ჭედვა იყო, იმოდენა საზოგადოებას მოეყარა თავი. რკინის გზის ბაქანზე იდგა შემოსილი ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე არქიმანდრიტებითა და სამღვდელოებით. აქვე იყვნენ წარმომადგენელნი ქართველ ინტელიგენციისა და მაღალის საზოგადოებისა, თავად-აზნაურთა წინამძღოლნი, დეპუტაციები სხვა-და-სხვა ქალაქებისა და დაწესებულებათა გვირგვინებითა პოეტის კუბოს შესამკობად. 9½ საათზე მოვიდა მატარებელი და ვაგონიდამ გადმოასვენეს კუბო ძვირფასის ნეშტით. კუბოს მოჰყვნენ პოეტის ნათესავი, ღვიძლი ბიძაშვილი თ. გ. ი. ორბელიანი და სხვა პატივცემულნი ქართველნი, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ განჯას. მცირე პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ნეშტი გამოასვენეს ვაგზლიდამ სამგლოვიარო «წმიდაო ღმერთო»-ს გალობით. აქ, ვაგზალთან, ამოდენა ხალხმა მუხლი მოიდრიკა და პატივი სცა დიდებულის მგოსნის ცხედარს. შემდეგ კი აუარებელი და ზღვა ხალხი დაიძრა და გაემართა ლიტანიით დიდუბისკენ. ამფიონი შემკული იყო ძვირფასის სხვა-და-სხვა გვარის გვირგვინებით, კუბო

ხელში ეჭირათ: ხან ქალებს, ხან ახალგაზდობას, ხან ნათესავებსა და ისე მიასვენებდნენ. გზა-გზა რამდენიმე ხორო გალობდა: ხორო ქალებისაც, სასულიერო სემინარიის შეგირდებისაც, სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფეთა და მ. შარაძისა, ბ. ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით. ქალების ხორო შეედგინა თბილისის დედათა საეპარქიო სასწავლებლის კურს-დასრულებულ შეგირდებისაგან მღვდელს მ. ვ. კარბელაშვილს. როცა ლიტანია მიუახლოვდა ეკკლესიას, ხალხმა კვლავ მოიდრიკა მუხლი, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა შესაფერი და გრძნობით სავსე სიტყვა. თვით ეკკლესიაში სიტყვა სთქვა ზიარების დროს მღვდელმა ცინცაძემ.

სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს: თ. აკაკი წერეთელმა, თ. ილ. ჭავჭავაძემ, კნ. ნ. ორბელიანისამ, ქუთაისის ქალაქის მოურავმა ლოლუამ, ქუთაისის დეპუტატმა დ. ბაქრაძემ, გ. წერეთელმა და სხ.

ამ ხანად მოგვყავს სიტყვა, წარმოთქმული ქუთაისის ქალაქის მოურავის ბ. ლოლუასი:

როდესაც კაცის წინ კუბო სდგას, როდესაც იგი პირღია სამარეს დაჭყურებს, მისი სული ყოველთვის გლოვითა და მწუხარებით არის მოცული. მაგრამ დღეს ჩვენ სხვა რასმე ვგრძნობთ, სულ სხვა გრძნობით არის სავსე ჩვენი სული. ნაცვლად გლოვისა, ნაცვლად მწუხარებისა, ჩვენ დღეს მხოლოდ ერთს ბრწყინვალე დღესასწაულსა ვხედავთ, მარტო სიხარულსა ვგრძნობთ. დღევანდელი დღე არის და სამარადისოდ დარჩება ერთ საუკეთესო დღედ საქართველოს ერის ცხოვრებაში, არის სასიხარულო ყოველის კაცისათვის, ვისაც კი სწამს და უყვარს კეთილი ჭეშმარიტება და ახარებს მათი წინსვლა და გამარჯვება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1845 წ. გარდაიცვალა უცხო ქვეყანაში, მაგრამ ახლოს, ძალიან ახლოს საქართველოსთან. მაშინაც იყო საქართველო, მაშინაც ქართველები, მაშინაც სწერდნენ და კითხულობდნენ; მაგრამ საქართველოს არ უწყებია, არ გაუგია, არ უგრძვნია, რომ მან დაჰკარგა საუკეთესო შვილი. ბარათაშვილი მიბარდა მიწას უცხო ქალაქში ყოველის კაცისაგან დავიწყებული.

ამგვარი დასასრული საზოგადო მოღვაწისა იყო ჩვეულებრივი ჩვენს ქვეყანაში. ეს კარგად იცოდა ჩვენმან პოეტმან,—იცოდა მან, რომელიც მუდამ სტიროდა სულის სიობლეს, რომელიც გლოვდა განქრობას სახელთა მათთა, ვინც მამულისათვის თავი დასდვეს.

გაიარა თითქმის ნახევარმა საუკუნემ, შეიცვალა დრო. შეიცვალნენ თვით ქართველებიც, და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ იგინი შეკრებილან აქ მის სადიდებლად, ვისიც დაკარგვა 47 წლის წინათ იმათ ამბავიც არ გაუგიათ. კარგს მთქმელს კარგი გამგონი უნდა. ბარათაშვილი იყო კარგი მთქმელი, მაგრამ ჩვენ ვერ ვიყავით კარგნი გამგონნი. ის, რასაც ეხლა აქ ვხედავთ, ცხადათ გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ეს ნაკლულევება გაგვისწორებია, თუმცა ამისთვის ნახევარი საუკუნე დაგვჭირდა. აი, ბატონებო, რას გვასწავებს დღევანდელი დღე, აი მიზეზი ჩვენის სიხარულისა და დღესასწაულისა.

სამშობლოს მადლობა, სამშობლოსაგან ხსენება არის საუკეთესო და უდიდესი ჯილდო, რომელსაც კი საზოგადო მოღვაწე მიიღებს და როდესაც სამშობლო თავისს ერთგულს შვილს ამგვარს მადლობას გარდაუხდის, ეს გარემოება ყოველთვის სანუგეშო და სასიხარულოა, იმიტომ რომ ცხადად გვიმტკიცებს და დაგვანახებს, რომ კეთილს საქმეს ფეხი მოუდგამს და წინ წასულა.

ეხლა მოვიქცევი შენკენ, სასიქადულო ჩვენო პოეტო, მოვიქცევი ვითარცა წარმომადგენელი ჩვენის ძველის დედა-ქალაქისა, მის მიერ აქ შენდა სადიდებლად წარმოგზავნილი. დღეს ჩვენს ქვეყანაში არ არის კუთხე, სადაც შენი ხსენება, შენი ქება არ იყოს. შენ დღეს შეაერთე იგინი, ვინც ჟამთა ვითარებამ და კაცთა უმეცრებამ ერთიმანეთს დააშორა, შეახალა და გაჰყარა,—შენ, 47 წლის მკვდარმან, შენის მძლავრის სულით მათ აგრძნობინე ძმობა, ერთობა და შეჰყარე შენდა სადიდებლად. გაიხარეს შენმან სულმან: იგი აღარ არის ობოლი. მე შენთვის არ ვინატრი საუკუნო ხსენებას: შენი სული არას დროს არ განშორდება ქართველებს და ვიდრე არსებობს ქართველობა, ვიდრე არსებობს ქართული სიტყვა, შენი სახელი არას დროს არ მოიშლება.

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა გამო.

ორმოც წლის წინედ სულ უცხო მხარეს
ერთგული შვილი საქართველოსი
მიწამ მიიკრა ვით მეგობარი,
აღარ აღირსა ხილვა მდელოსი,
სადაც სიყრმითვე ნეტარ-ხსენებულს
თვის ტკბილი ჩანგი დაუქღერია,
დ̃ ხალხთ საამოდ, ვით ლამაზ ბულბულს,
საამურ ენით დაუმღერია.

შესწყდა უდროოდ მის ჩანგის ქღერა,
გულის წარმტაცი და საამური.
აღსავსე გრძნობით ნამდვილ ქართველის,
დამატკბობელი, მეგობრულ-ძმური.

განვლო რა ხანმა, და აღიჭურვენ
სწავლით ქართველნი თვის სათემოში,
ისურვეს მოძმეთ—გადმოეტანათ
ხვეწილი გვამი საქართველოში,
და უსულოსთვის მუნ მიერთმიათ
ხარკი დიდების ტკბილ სამშობლოში.

აღსრულდა კიდეც ქართველთ სურვილი,
რომლით ასრულეს დიადი ვალი,
და დააფასეს მოძმისა შრომა,
პოეტის ნიჭი და მისი ძალი.

ნეტარ არს იგი, ვისაც ეღირსა
სამარადისო ესდენ დიდება!
დიდება იმას და იმის სახელს,
ის არასოდეს აღარ მოკვდება!!..

მალაქია ბოლქვაძე.

1893 წ.
22 აპრილს.

ღმერთი რად მიწყენს ამასა?

მიყვარს სამშობლო ენაზე
უფლის დიდება, ქებანი,
წირვა-ლოცვისა მოსმენა,
მღვდლისაგან ქადაგებანი,
ორ გუნდათ კანანარხითა
გალობა, ლალადებანი;
ღმერთი რად დამსჯის ამისთვის?
არ არის მისი ნებანი?

ვსცოდე უფალსა ვით კაცმან,
დავხსენ იმისი მცნებანი,
მერმე მოვყვე გონებას,
მწადს მისი მონანებანი,
მღვდლისაგან მინდა ვისმინო
ოთხ-თავნი სახარებანი,
აი ამისი მჭირია
მშობლიურს ენაზე სმენანი;
ღმერთი რად მიწყენს ამასა?
არ არის მისი ნებანი?

მშობლიურს ენაზე თუ მესმის
ტაძარში ღვთისა სიტყვანი:
მღვდლისაგან—შვიდობიანი,
მედავითნისგან კითხვანი,
გულის სიღრმემდის ჩააღწევს,
აღმეძვრის სასოებანი;
სახლში ვბრუნდები იმედით,
რომ მეპატივა ცოდვანი.

გავსინჯოთ სიღრმით გულისათ
ზეცისა მოწყალებანი:
უფალმან მოციქულებსა
ასწავა უცხო ენანი,
და რქვა: «ვინ რომელ ენითაც
შესძლოს სიტყვისა სმენანი,
ყველას იმ ენით აუწყეთ
უხვი წყალობა ზენანი».
უფლის ბრძანებით ამ წესზე
მესმოდეს სახარებანი,
ღმერთი რად დამსჯის ამისთვის?
რაც არის მისი ნებანი?!

რ. სადათხელი

მოქვის ტაძარი აღმოსავლეთის მხრით.



მოქვის ტაძარი.

მოქვის ტაძარი

– მოქვის დიდებული ტაძარი ძევს მთაში, მოქვის მდინარეზე, აფხაზეთში, შაეი ზღვის მახლობლად დაბა ოჩამჩირედგან 20—25 ვერსის მოშორებით. ეს დიდებული ტაძარი ცხადად მოწმობს, რომ აფხაზეთი, რომელიც დღეს თითქმის გაეერანებულია, ძველ დროში აყვავებული ყოფილა როგორც ეკონომიურად ისე სარწმუნოების მხრით. ტაძარი სდევს მდინარე მოქვის მარცხენა მხრით ცოტა მაღლობ ადგილზე. 1859 წელს ეს ტაძარი უნახავს ჩვენს ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს, რომელიც აი რასა სწერს ამ ტაძარზე: «ეს ტაძარი მე ენახე იმავე მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც იგი უნახავს 1848 წელში აკადემიკოსს ბროსეს, რომელიც აღტაცებაში მოიყვანა ამ ტაძრის გეგმამ. დიდ-შენი ეკლესია მოქვისა შეფოთლილია სურათი, თვით გუმბათი ტაძრისა მწვანილოვან ბალად არის გადაქცეული, რომელზედაც უზარ-მაზარი ხეები ამოსულან და წარმოადგენს განსაკვირებელ სურათს. შიგნით მაღალი თეთრი ქვის ნათალი სვეტები ისრებსაეით ამართულან ზეცისკენ და ჰყოფენ ეკლესიას ხუთ კიდობნად. იატაკი ტაძრისა მარმარილოს ქვით არის მოგებული; ფერად-ფერადი შუშის ნატეხები აქა-იქ დაყრილი, საკვირველი ჩუქურთმის წმინდა ხელობა ეკლესიის

არშიებზე ამტკიცებენ უმაღლესს ხარისხამდის მიწევნილს ძველს ქართულს ხელოვნებას. შვენიერი დერეფანი ქვის სვეტებზე დამყარებული გარშემორტყმული აქვს ტაძარს თითქმის გუმბათამდის. გუმბათებში და სვეტების თავების ერთმანეთზედ გადასაბმელად აგურია ნახმარი. კარის ბჭეები ჩამონგრეულია, სანათურებში შუშები დაშსხვრეულია; ნახევარი არშინი სისქე ნაგავი დაყრილია იატაკზედ; სამწუხაროდ ტაძრის კედლებზე ზედ-წარწერა აღარსად ეტყობა». ტაძრის გარეთ არის ეებერთელა სამრეკლო, მარჯვენით არის ეპისკოპოსის საცხოვრებელი სახლის ნანგრევები, მარცხნით არის პატარა სტოა, რომელიც დღეს მთლად დანგრეულია და მცენარეებით არის დაფარული. ეს შენობები შეადგენენ ერეველს და მაგარს გალავანს მოქვის ტაძრისას. ძველად ამ ტაძრის შიგნითა და გარეთა კედლებზე ბევრი წარწერები ყოფილა, როგორც მოწმობს იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი, რომელიც ყოფილა საქართველოში და მიმოუხილავს მოქვის ტაძარი 1659 წელში. ამ პატრიარქს მოქვის ტაძარზე უნახავს შემდეგი ზედწარწერა: «დახატულია იმპერატორ ალექსი კომნინის დროს, აფხაზეთის დიდის მეფის დავითის მეფობის დროს». ალექსი I მეფობდა 1080—1118 წლებში, ხოლო დავით აღმაშენებელი 1089 წლიდგან 1125 წლამდე; მაშასადამე ამ ტაძრის მხატვრობა ეკუთვნის ამ დროს ბროსეს ფიქრით». როცა მეორეთ უნახავს ეს ტაძარი დიმ. ბაქრაძეს, აი რას მოგვითხრობს: ის პატარა ვიწრო გზა, რომელიც მე ვნახე 1859 წელში, დღეს დიდ სასოფლო შარად არის გადაკეთებული, გალავანში დაბანაკებულია ყაზახების ჯარი, ხოლო თვითონ ტაძარი განახლებული იყო აფხაზეთის მაშინდელი მფლობელის მიხეილ შერვაშიძისაგან, მაგრამ არა იმ სიმშვენიერით, რაიცა ჰქონებია ამ ტაძარს პირველად. ეს დიდებული ტაძარი გადუკეთებიათ სამრეველო ეკლესიად, რომელშიაც ასაფლავებენ აფხაზების გამგეთავადების სახლეულობათა. ამ ტაძარში არის დასაფლავებული მიხეილ შარვაშიძის მეუღლე და შემდეგ თვითონ ეს თავადი. ეახუშტის სიტყვით მოქვის ტაძარი აღუშენებია აფხაზეთის მეფეს ლეონ III, რომელმაც აღაშენა ქუმურდის დიდებული ტაძარი ახალ-ქალაქის მახლობაში და რომელიც გარდაიცვალა 957 წელში. რომ ამ მეფემდის არ ყოფილა აღშენებული ეს ტაძარი, ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ მოქვის ეპისკოპოსი მოხსენებული არ არის იმ აქტში, რომელშიაც აღწერილია იერარქიული წესი საქართველოს ეპისკოპოსებისა. ეს აქტი ეკუთვნის იოსსემანის აზრით მე-VIII საუკუნეს. როგორც სჩანს მოქვის ტაძრის ხატის ზედ-წარწერისაგან, რომელიც, ხატი, ინახება ზუგდიდის ეკკლესიაში, მოქვის ტაძარი აღშენებული ყოფილა ღვთის მშობლის სახელზედ. მეფე გიორგი პირველი და ძე მისი ლეონ მესამე აფხაზთა მეფენი მეფობდნენ 39 წელი. საკუთრად ლეონ მესამე მეფობდა 2 წლის განმავლობაში. ცხადია, რომ 2 წელს ეს მეფე ვერ აღაშენებდა ასეთს დიდებულს ტაძარს. შესაძლებელია მან მხოლოდ დაამთავრა მოქვის ეკკლესიის აშენება, დაწყებული გიორგი პირველის აფხაზთა მეფის მიერ, რომელსაც «ქართლის ცხოვრება» უწოდებს ეკკლესიათა მაშენებლად. აქ იყვნენ ეპისკოპოსები, რომელნიც განაგებდნენ მოქვის და კოდორის მდინარეთა შორის მდებარე ადგილებსა. როდის გაუქმდა მოქვის საეპისკოპოსო, სინამდვილით არ შეიძლება სთქვას კაცმა, რადგან ხელთ არა გვაქვს საჭირო ცნობები, მხოლოდ ვიცით, რომ XVII საუკუნეში ეს ეპარქია არსებობდა. ამ საუკუნის პირველს ნახევარში მოქვის ეპისკოპოსი დასწრებია კრებას, რომელიც მოხდა ქ. ქუთაისში და რომელზედაც გამონახეს საჭირო ზომები, რომ ხალხში აღეპაღლებიათ დაცემული ზნეობა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ მაისის თვეში დანიშნულია იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში. კრებამ, სხვათა შორის, ხელახლად უნდა განიხილოს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელთან არსებული პანსიონის დახურვის შესახები კითხვა. წინა კრებაზე სამღვდელოებამ გადაწყვიტა პანსიონის დახურვა, მაგრამ ამ დროს სასწავლებლის სამმართველოს არ წარმოუდგენია, თუ რა იქნებოდა საჭირო სასწავლებლის შესანახავად, როცა პანსიონი დაიხურებოდა. ეხლა სამმართველო დავალებულია შეადგინოს სასწავლებლის ხარჯთაღრიცხვა პანსიონის შესანახავად საჭირო ხარჯის გამორიცხვით და წარუდგინოს სამღვდელოების კრებას განსახილველად და დასამტკიცებლად.

***

— კარგი სანია, რაც გამოჩენილი პროფესორი ფილოლოგი გარიერი ამერიკიდგან გაემგზავრა ოფრიკაში მაიმუნების ენის შესასწავლად. ამ დღეებში ძმასა სწერს თურმე, ჯერ 200 სიტყვამდე გასწავლე მაიმუნის ენისაო. ოცდა-ათ სიტყვაზედ მეტი უფრო კარგკვეთ ითქმის, მაგრამ ფონოგრაფში გადღება-კი ჯერ ვერ შოვასწერსო. მეორეს ესლა რამდენიმე ჯერა მაიმუნი: ერთი ჩანაწერზე, რომელიც მკაფიოდ ეუბნება ხოლმე: «დილა მშვიდობისა, უცხოელო!» ერთი ფორიდა, რომელმაც ოცზედ მეტი სიტყვა იცის ფიჯიას ენაზედ, და ერთი ორანგუტანგი, რომელსაც ჩემმა მსახურმა რაოდენიმე გერმანული სიტყვა დასწავლო.

მადლობა შენთვის, დმერთო! ზოგიერთ ხალხს თავის ენას ავიწყებინებენ და მაიმუნებს კი ასწავლიან მაიმუნურ ენას!...

***

აპრილის 24 დილის 6 საათზედ მათი მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეპისკოპოსი წაბრძანდა კახეთში სამწყესის დასათვალიერებლად. მისი მაღალ ეოვლად უსამღვდელოესობა მიბრძანდება ტფილისიდგან ორშაბათს, კაზიანსა, გომბორს, შუა მთის მონასტერს დათვალიერებს და საღამოს 6 საათზე თელავს შიბრძანდება. მეორე დღეს დათვალიერებს თელავის ეკლესიებს და სასწავლებლებს. 4 საათზედ წაბრძანდება სოფელ აწყურს. 26 აპრილს აწყურიდგან წაბრძანდება ალაგერდის ტაძარში, შემდეგ ახმეტას და თიონეთში. 27 აპრილს, დილის 6 საათზედ, თიონეთიდგან შუენ დაბრუნდება თელავზე და წაბრძანდება ს. კისელში, კრემსა, საბუესა, შილდასა და უკარელში.

28 აპრილს, დილის 7 საათზედ, უკარელიდგან წაბრძანდება ისევ თელავს, იქიდგან სოფელ კურდღელაურს, წინანდალსა, ეონდოლს, ავჭალასა, კახნაძეასა, ქალაურს, შაშიანს, ფრიათუბანსა და ვეფისტიხეში, 29 აპრილს, დილის 7 საათზედ, ვეფისტიხედგან ბაკურციხეზე წაბრძანდება ქ. სიღნაღს, ს. ბურჯაანს, ბაკურციხეს, კარდანახსა და ანაგაში. 30 აპრილს დათვალიერებს ბოდბის წმ. ნინოს ტაძარს და ნაშუადღევის 3 საათზედ წაბრძანდება ხიზისის წმ. სტეფანეს ტაძარში. იქიდგან წამობრძანდება ტფილისს.

წმ. მოციქულთ-სწორი მარიამ მაგდალინელი.

რა დროიდამ არის შემოღებული წითლად შეღებილი კვერცხით აღდგომის მიმკვლევა ქრისტიანებში?

მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს ძველის დროიდგან დღემდე აქვსთ ერთი კარგი ჩვეულება—პასექის დღესასწაულში ერთი ერთმანეთს უმკვლევენ წითელს კვერცხს. როგორც მოწმობს ზეპირ-გარდმოცემა, წითელი კვერცხის კვლევა შემოღებულია წმ. მოციქულთ-სწორის მარიამ მაგდალინელისაგან.

წმ. მარიამ მაგდალინელი ჩამომავლობით იყო ისახარის ტომისაგან, იგი დაიბადა დაბა მაგდალაში, ამიტომ მარიამს ეწოდა მაგდალინელი. იგი იყო შეპყრობილ ეშმაკთაგან. როცა იესო ქრისტე მოგზაურობდა გალილიაში, მარიამი მივიდა მასთან და სთხოვა მაცხოვარს, რათა მას განეკურნა იგი. უფალმა, როცა დაინახა მისი სარწმუნოება, განკურნა იგი და განდევნა მისგან 7 ეშმაკი. ამის შემდეგ მარიამი განათლდა ქრისტეს ღვთაებრივი სწავლით და შეიქნა იესოს ერთგული მოწაფე. ის დაყვებოდა ქრისტეს და ემსახურებოდა მას (მარ. XV, 40—41). მარიამი სხვა დედებთან ერთად მიჰყვებოდა მაცხოვარს, როცა უფალი მიჰყავედათ ჯვარზე საცმელად და სტიროდა, როცა იხილა ქრისტეს წამება (ლუკ. XVIII, 28—55). მარიამი დაესწრო მაცხოვრის გვამის ჯვარისაგან გარდამოხსნას, გაჰყვა ქრისტეს გვამს და იხილა, თუ სად დასასაფლავეს იგი (მათ. XXVII, 61; მარკ. XV, 47) უფლის მკვდრეთით აღდგომის დღეს მარიამი, დილით ადრე, მივიდა მაცხოვრის საფლავთან, რათა სცხოს იესოს გვამს ნელსაცხებელი, მაგრამ მან ვერ ნახა იქ გვამი ქრისტესი და ეს ამბავი მაშინვე აცნობა პეტრეს და იოანეს. შემდეგ მარიამი ხელახლად მივიდა ქრისტეს საფლავთან და პირველი ეღირსა აღმდგარი ქრისტეს ხილვას, რაიცა მაშინვე აცნობა ქრისტეს მოწაფეებს.

ქრისტეს ამაღლების შემდეგ მარიამ მაგდალინელი იმყოფებოდა წმ. მოციქულებთან და ღვთის-მშობელთან ერთად იერუსალიმში და ღვთის ეკლესიაში ატარებდა დროს. როცა წმ. მარიამ მაგდალინელმა იხილა, რომ ქრისტეს სწავლა წარმატებით ეფინებოდა იერუსალიმში, თვითონაც იწყო ქრისტეს სარწმუნოების გაფრცელება. ამ მიზნით ის გაემგზავრა რომში. მივიდა თუ არა რომში, იგი გამოეცხადა

იმპერატორს ტიბერის და უძღვნა მას წითელი კვერცხი და რქვა: **ქრისტე აღსდგა!** შემდეგ მან უამბო იმპერატორს ქრისტეს წამება და ბრალსა სდებდა პილატეს, რომ მან უმართლოდ დასაჯა ქრისტე. რომიდამ წმ. მქადაგებელი გაემგზავრა ეფესში, იოანნე ღვთის-მეტყველთან, აქ დაბინავდა იგი და ეწეოდა იოანნეს ქადაგების საქმეში. ეფესოში იგი გარდაიცვალა და აქვე იქმნა დასაფლავებულ. მეხუთე საუკუნეში, საბერძნეთის მეფის ლევის I მეფობის დროს, წმ. მარიამ მაგდალინელის ნაწილნი გადმოასვენეს ეფესოდგან კონსტანტინეპოლში.

მარიამ მაგდალინელის მიბაძვით, რომელმაც იმპერატორს ტიბერის მიართვა წითელი კვერცხი, ქრისტიანები პასექის დღესასწაულში უმკვლევენ ერთიერთმანეთს წითელს კვერცხებს. ეს ჩვეულება დიდი ხნიდან არსებობს მთელს დედამიწაზე, სადაც კი სცხოვრებენ მართლ-მადიდებელი ქრისტიანები. უნებლიედ იბადება კითხვა—რატომ მაინც-და-მაინც წითელი კვერცხი მიართვა მარიამმა იმპერატორს და არა სხვა რაიმე ნივთი? ეს გარემოება აიხსნება იუდეველების ძველი ჩვეულებით, რომლის ძალით იგინი თავის მეგობრებს, კეთილის-მყოფელთ და მეუფროსეთა მიართმევდნენ ხოლმე კვერცხს ნიშნად პატივისცემისა. მაგდალინელმა, როგორც ღარიბმა ქალმა, რომელსაც არ შეეძლო რაიმე უფრო ძვირფასი ნივთის მირთმევა, მიართვა იმპერატორს კვერცხი—ეს ჩვეულებრივი საჩუქარი ღარიბთა. ამასთან აღდგომის წითელს კვერცხს აქვს სხვა მომასწავებელი მნიშვნელობაც. წითელი კვერცხი მოგვაგონებს ჩვენ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას და ყოველთა მიცვალებულთა აღდგომას, ვინაიდგან როგორც კვერცხის უსულო ხეჭეჭოსაგან იბადება ცოცხალი არსება, ისე საფლავიდგან, რომელიც არის დასაბამი სიკვდილისა და ხრწნილებისა, აღსდგა მაცხოვარი და ოდესმე აღსდგებიან ყველა გარდაცვალებულნი მომავალი საუკუნო ცხოვრებისათვის. მარიამმა რაღა წითელი კვერცხი მიართვა იმპერატორს? შეიძლება, წმ. მაგდალინელმა, რომელიც იყო ჭეშმარიტი ისრაელი, შეღება კვერცხი, მსგავსად იმისა, როგორც იუდეველები პასექის დღესასწაულის ჩვეულებისამებრ, პასექის დღესასწაულზედ დაკლული ზვარაკის სისხლს წაუსვამდნენ კარებზე, და ამ სახით საიდუმლოდ უჩვენა იმპერატორს, რომ ჩვენ გამოვიხსენით თავი **პატიოსნითა სისხლითა, ვითარცა ტარიგისა უბიწოისა და უმანკოისა ქრისტესითა** (ა პეტრ. 1, 18).

რედაქციის პასუხი

მღვდ. ა. არ—ს. აი რომელ დღეებში არ შეიძლება გარდაცვალებულთა დამარხვა: პასექის დღეს და ქრისტეს შობას სალამომდისინ და მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და ცესარევნას სახელწოდების დღეს, აგრეთვე მათი იმპერატორებითი დიდებულებათა ტახტზედ აღსვლის და გვირგვინოსნების დღეებში. (იხილე უწ. სინოდისა 1844 წ. 29 მაისს; 1862 წელს 2 მარტს).

ზემოხსენებულ დღეებს გარდა ყოველთვის შეიძლება დამარხვა გარდაცვალებულისა როგორც ერის კაცის ისე მღვდლისა. კარგია, რომ მღვდლის წესის აგებაზედ დაესწროს 6—7 მღვდელი, მაგრამ, თუ შესაძლებელი არ არის ოთხი ხუთი მღვდლის შოვა, მაშინ ერთსაც და ორსაც შეუძლია აღასრულოს წესი.

მღ. ზ—მე ნე—ძე. თქვენი სტატია „მავნებელი ჩვეულება“ არ იბეჭდება. ეკკლესიაში გარდაცვალებულის დამარხვა მავნებელი ჩვეულება არ არის. საფლავის დანახვა ლოცვის სურვილს არ უკარგავს მლოცველს, პირიქით ზოგიერთი გზა-და-კვალ დაბნეული კაცი ჭეშმარიტ გზას ადგება. დასაჯერებელი არ არის ექიმებისაგან გაზვიადებული აზრი სასაფლაოების მავნებლობაზედ. რომ კარგად გამოვიკვლიოთ, დავრწმუნდებით, რომ ყველგან ერთნაირად იბადებიან და ჰკვდებიან და შესამჩნევი სარგებლობა არ მოაქვს მიცვალებულთა გვამების დაწვას და არც მიცვალებულთა დასაფლავებას მოაქვს კაცობრიობისათვის შესამჩნევი ვნება.

შინაარსი: მოხუცებული მღვდლების დათხოვნისა გამო.—პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—პედაგოგიის ისტორიიდგან.—თავ. ნიკოლოზ ბარათაშვილი.—ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებისა გამო (ლექსი).—ღმერთი რად მიწყენს ამასა? (ლექსი).—მოქვის ტაძარი.—ახალი ამბები და შენიშვნები.—მოციქულთ-სწორი მარიამ მაგდალინელი.—რედაქციის პასუხი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 29 Апрѣля 1893 г.*
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.